თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სხდომა №2

თბილისი 2 სექტემბერი, 2009 წელი

ოქმი №2

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. თამარ ჩიტოშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
2. ალექსანდრე გიორგაძე (სამართლის ფაკულტეტი);
3. გია თოფურია (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
4. ნოდარ სამხარაძე (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
5. ამალია არუთინოვა (ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
6. თეიმურაზ თალაკვაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
7. მაია ფხალაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
9. ლამარა ჩაბაშვილი (ბიბლიოთეკარი).
10. გიორგი თარაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);

**სხდომის თავმჯდომარის მ. შ. :** პროფესორი გია თოფურია

**სხდომის მდივანი:** ასოცირებული პროფესორი ამალია არუთინოვა

**დღის წესრიგი:**

1. **თჰუ ხარისხის მარვის (უზრუნველყოფის) სამსახურის უფროსის დამტკიცება;**
2. **თჰუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (უფროსის) დამტკიცების თაობაზე;**
3. **თჰუ სენატის თავმჯდომარის არჩევა.**

**მოისმინეს:** პროფესორ გია თოფურიას ინფორმაცია, რომელმაც აცნობა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს, რომ თჰუ აკადემიური საბჭოს მიერ, 2009 წლის 1 სექტემბრის მე-5 სხდომაზე, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და თჰუ დებულების შესაბამისად, თჰუ ხარისხის უზრუნვეყოფის (მართვის) სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წამოყენებულია მისი კანდიდატურა,

ხოლო თჰუ ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ბატონ ვალერიან მუხიგულაშვილის კანდიდატურა დასამტკიცებლად. ზემოაღნიშნულის გარდა, პროფ. გია თოფურიამ განაცხადა რომ საჭიროა ასევე სენატის თავმჯდომარის არჩევაც და რომ ის თავმჯდომარის მოვალეობებს ვეღარ შეასრულებდა. მან სენატს შესთავაზა ქალბატონ ამალია არუთინოვას კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: ლამარა ჭაბაშვილმა, გიორგი თარაშვილმა.

პროფესორმა გია თოფურიამ კენჭისყრაზე დააყენა ჯერ საკუთარი კანდიდატურა, ხოლო შემდეგ ბატონ ვალერი მუხიგულაშვილის კანდიდატრურა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, ბატონმა გია თოფურიამ თავი შიკავა საკუთარი თავისათვის ხმის მიცემისაგან, შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, 9 ხმით, სენატმა გადაწყვიტა:

1. *თჰუ ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) სამსახურის უფროსად დამტკიცდეს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სრული პროფესორი ბატონი გია თოფურია;*
2. *ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;*

მეორე საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა; კენჭისყრის შედეგად, 10 ხმით, სენატმა გადაწყვიტა:

1. *თჰუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (უფროსად) დამტკიცდეს ბატონი ვალერიან მუხიგულაშვილი;*
2. *ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.*

მესამე საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა; კენჭისყრის შედეგად, 9 ხმით, სენატმა გადაწყვიტა: *თჰუ სენატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ამალია არუთინოვა.*

თჰუ სენატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გ. თოფურია

სხდომის მდივანი: ა. არუთინოვა

206046045